სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01-05/157

ქ. ბათუმი 16 დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი ცენტრის უფროსის რამაზ სურმანიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს მეგა + (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ ფუტკარაძის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – ,,ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ,,შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ,,მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს შემსყიდველის სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის ტერიტორიის წყალმომარაგების ქსელზე მიერთება (დანაყოფის კოდი - 45300000), შემდეგში ,,შესყიდვის ობიექტი/მომსახურება", ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. სამუშაოების ფასები განსაზღვრულია დანართ N2-ით (ხარჯთაღრიცხვა), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4 800 ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.

3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3. დაფინანსების წყარო - 2015 წლის საკუთარი შემოსავლები.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. სარემონტო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად.

4.2.ძირითადი სამუშაოების ჩატარება, რომელიც ხელს შეუშლის ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას, უნდა განხორციელდეს არასამუშაო საათებში და უქმე დღეებში.

4.3. სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

4.4.სამუშაოების ჩატარების ადგილია - ქ. ბათუმი, ქვედა სამება, სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი"-ს შენობა და მიმდებარე ტერიტორია.

4.5.სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადა - 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

4.6. პრეტენდენტის მიერ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს ერთ თვეს გაწეული მომსახურების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები (შემსყიდველის მხრიდან - მიღება-ჩაბარების კომისია) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მიმღები კომისია ახორციელებს მომსახურების მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ გაწეული მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების 8.1 პუნქტის შესაბამისად.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მომსახურების გაწევის ვადების და შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები და სხვა სამუშაო პირობები.

7.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. თუ მიმწოდებლის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადები, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 0,2 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობისას შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი)%-ის ოდენობით.

8.5. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოს გადახდა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა შემსყიდველისათვის უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის ვადაში.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი ძალის გარემოების შედეგი.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი ძალის გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ როგორც კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ასევე სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრამდე.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან).

14.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი	შპს მეგა+
ს/კ 245645235	ს/კ 447860814
ელ. ფოსტა: Samebalab@gmail.com	ელ. ფოსტა: otarijafaridze@gmail.com
მის: ქ. ბათუმი, დასახლება ქვედა სამება	ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ.№73/41
მიმღების დასახელება - სახელმწიფო ხაზინა.	სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი - TRESGE22	ბანკის კოდი - BAGAGE22
მიმღების ანგარიში -740347519	ა/ა GE70 BG00 0000 0500 0006 00
ცენტრის უფროსი: რამაზ სურმანიძე ----------	დირექტორი: ავთანდილ ფუტკარაძე ----------

დანართი №2

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთეული	რაოდ-ბა	ერთ. ფასი	ჯამური თანხა
	თხრილის მოსამზადებელი სამუშაოები				
1	III კატეგორიის გრუნტის ამოთხრა ხელით გვერდზე ყრით (0,7 სიღრმე)	კბმ	98,00	13,30	1303,40
2	ასფალტის დემონტაჟი და აღდგენა	კბმ	5,00	40,00	200,00
3	ქვიშის საფენის მოწყობა მილის ირგვლივ (10-15 სმ)	კბმ	21,00	17,67	371,07
4	გრუნტის უკუჩაყრა თხრილში ხელით 5 მეტრის რადიუსის ფარგლებში	კბმ	98,00	10,75	1053,50
	წყალმზომის და მილების მოწყობა				
1	წყალმზომი მრიცხველის ყუთი 60/18/25 სმ მონტაჟით	ც	1,00	41,00	41,00
2	წყალმზომი 25 მმ (6კბ/სთ) მონტაჟით	ც	1,00	160,00	160,00
3	ქურო ჩამხსნელი დიამეტრით 32 მმ გ/ხ მონტაჟით	ც	2	6,50	13,00
4	მუხლი მექანიკური დიამეტრით 32 მმ 90 გრადუსით მონტაჟით	ც	6	5,70	34,20
5	ბურთულა ვენტილი გ/ხ დ=32მმ მონტაჟით	ც	2	4,60	9,20
6	ბურთულა ვენტილი დ=32მმ მონტაჟით	ც	2	13,20	26,40
7	ელ ქურო დ32პ მონტაჟით	ც	4	11,50	46,00
8	უნაგირი ელექტრო 110X32 მმ	ც	1	40,00	40,00
9	წყლის მილი დ=32პპ მონტაჟით	გრ/მ	350	2,20	770,00
	ჯამი				**4 067,80**
	დღგ 18%				**732,20**
	ჯამი				**4 800**

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი	შპს მეგა+
ცენტრის უფროსი: რამაზ სურმანიძე ----------	დირექტორი: ავთანდილ ფუტკარაძე ----------